



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება №28

2011 წლის 25 მარტი

ქალაქი ხაშური

მოქალაქე ალექსი კოპაძის განცხადებისგანხილვა ქ. ხაშურში ვაჟა ფშაველას მე-2 ჩიხი ბინა №25–ში კერძო საკუთრებაში არსებული ბინის მისამართის დადგენის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ქ. ხაშურში ვაჟა ფშაველას მე-2 ჩიხი ბინა №25–ში მცხოვრები მოქალაქე ალექსი კოპაძის განცხადება მისამართის დადგენის შესახებ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის და საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკების საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის დასკვნის შესაბამისად:

1. ქ. ხაშურში ვაჟა ფშაველას მე-2 ჩიხში მდებარე ალექსი კოპაძის საკუთრებაში არსებული ბინის მისამართი დადგენილი იქნას: „ქ. ხაშური ვაჟა ფშაველას მე-2 ჩიხი ბინა №25“
2. განკარგულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდგომ რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) 1 თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე

 დავით ლომიძე

